



## მედიაციის შესახებ ახალი კანონი

საქართველოს პარლამენტმა მედიაციის შესახებ ახალი კანონი მიიღო და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დაამტკიცა. კანონი იუსტიციის სამინისტროს კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში USAID/PROLoG-ისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით მომზადდა.

### USAID/JILEP-ისა და USAID/PROLoG-ის წვლილი

როგორც PROLoG-მა, ისე მისმა წინამორბედმა JILEP-მა საქართველოში მედიაციის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. JILEP-ის დახმარებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება მოხდა, რისი საშუალებითაც სამართლებრივ სისტემაში შემოღებული იქნა სასამართლო მედიაცია, რაც საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო დავების მედიაციაზე სავალდებულო წესით გადაცემას, ხოლო კომერციული დავების შემთხვევაში – მედიაციაზე გადაცემის შესახებ რეკომენდაციას ითვალისწინებდა. 2016 და 2017 წლებში, PROLoG-მა მედიაციის ექსპერტი, ალექსანდრე ბაღატიანი დაიქირავა, რომელსაც მედიაციის შესახებ კანონპროექტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დებულების ანალიზი, ასევე ანგარიშის შედგენა დაევა, რომელიც ისეთ საკითხებს ითვალისწინებდა, როგორც კანონპროექტების ევროკავშირის მედიაციის შესახებ დირექტივასთან, UNCITRAL-ის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ტიპიურ კანონთან, სხვა რელევანტურ რეკომენდაციებთან/გაიდლაინებთან შესაბამისობის დადგენა, ასევე იმის შეფასება, თუ როგორ იმუშავებდა იგი ქართულ კონტექსტში. მასვე დაევა კანონპროექტის დასრულებული ვარიანტის და მედიაციის შესახებ კანონმდებლობასთან დაკავშირებული სხვა შემოთავაზებული ცვლილებების გადახედვა (მაგ. სამოქალაქო საპროცესო და სამოქალაქო კოდექსებში შესაბამისი ცვლილებები). იუსტიციის სამინისტრომ ბატონი ბაღატიანის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების უმეტესობა გაიზიარა, რამაც შედეგად კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში მნიშვნელოვანი ახალი მუხლების გაჩენა გამოიწვია.

### კანონის ძირითადი არსი

დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის წახალისების მიზნით, მედიაციის შესახებ კანონი განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის პრინციპებს; მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესებს; მედიატორის უფლებამოსილებებს და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე წარმართულ მედიაციაზე, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI თავით განსაზღვრულ სასამართლო მედიაციაზე.

### რამდენიმე ძირითადი სიახლე, რასაც კანონი შემოიტანს:

- მედიატორთა თვითრეგულირების ორგანოს დაფუძნება, რაც მედიაციის განვითარებისთვის მყარ ინსტიტუციურ საფუძველს ქმნის;
- მედიატორის პროფესიის განვითარებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა და მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების დამკვიდრება;
- სავალდებულო მოთხოვნების დადგენა იმ პირების მიმართ, ვისაც მედიატორობა სურთ და მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმირება;
- მედიაციის პროცედურების განსაზღვრა, რომელიც საერთო იქნება ყველა სახის მედიაციისათვის (პროცესის დაწყება, მედიატორის შერჩევა, ინტერესთა კონფლიქტი და მედიატორის აცილების საკითხი, სამედიაციო მორიგების აღსრულება და სხვ.);
- მედიატორებისთვის კონფიდენციალობისა და ეთიკის დაცვის ვალდებულების შემოღება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა.


გარდა ახალი კანონისა, ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საქართველოს კანონში „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, საქართველოს კანონში „არბიტრაჟის შესახებ“, საქართველოს კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, საქართველოს კანონში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ და საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“.

# კოდექსებსა და კანონებში შესული ძირითადი ცვლილებების მოკლე შეჯამება

- გაფართოვდება მედიაციას დაქვემდებარებული დავების ჩამონათვალი და მას დაემატება:
  - შრომითსამართლებრივი დავები;
  - საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული დავები;
  - ქონებრივი დავები (თუ დავის საგნის ღირებულება 20.000 ლარს არ აღემატება);
  - საბანკო დაწესებულებებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან არსებული დავები (თუ დავის საგნის ღირებულება 10.000 ლარს არ აღემატება);
  - არაქონებრივი დავები.
- მედიაციის პოპულარიზაციის მიზნით გაიზრდება მოსამართლის როლი; სარჩელის, შესაგებლისა და სააპელაციო საჩივრის ფორმებში დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვის თაობაზე მხარის პოზიციის დასაფიქსირებლად ცალკე გრაფა გაჩნდება;
- შესაძლებელი იქნება, მხარეთა თანხმობით, საქმის წარმოების პირველივე საფეხურზე საქმის მედიაციისათვის გადაცემა;
- მხარე უფლებამოსილი იქნება სასამართლო მედიაციის ან კერძო მედიაციის დაწყებამდე ან/და მედიაციის პროცესში მიმართოს სასამართლოს სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით;
- შეიქმნება სამედიაციო მორიგებების აღსრულების ეფექტური მექანიზმი; სასამართლო უფლებამოსილი იქნება უარი თქვას სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, თუ: 1). სამედიაციო მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ან 2). თუ სამედიაციო მორიგების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია.

## ცვლილებები, რომლებიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეეხება, შემდეგია:

- 2019 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმის დამტკიცება, ხოლო 2019 წლის 1 დეკემბრამდე მედიატორთა ერთიანი რეესტრში იმ ქმედუნარიანი ფიზიკური პირის რეგისტრაცია, რომელიც არ არის ნასამართლევნი, ფლობს არანაკლებ 40-საათიანი მედიაციის/მედიატორის ტრენინგის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტს და რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში სულ მცირე 1 სასამართლო მედიაცია აქვს წარმართული. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 15 დეკემბრამდე უზრუნველყოს მედიატორთა ერთიანი რეესტრში რეგისტრირებულ პირთა პირველი კრების ჩატარება, რომელმაც უნდა დაამტკიცოს მედიატორთა ასოციაციის წესდება და აირჩიოს ამ კანონითა და აღნიშნული წესდებით განსაზღვრული ორგანოები და თანამდებობის პირები;
- 2020 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს სასამართლო მედიაციის პროგრამებისა და მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცება. სასამართლო მედიაციის პროგრამა უნდა განსაზღვრავდეს სასამართლოსა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციას შორის კომუნიკაციის სტანდარტებს, სასამართლო მედიაციის წარმართვის საპროცესო მხარეს, აგრეთვე სასამართლო მედიაციის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა საკითხებს, რომლებიც „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებული არ არის.

 მარჯანიშვილის ქ. 5, მე-3 სართული 0102, თბილისი

 (+995 32) 250 54 04

 info.prolog@ewmi.org

 www.ewmi-prolog.org

 www.facebook.com/EWMIPROLoG/

 @ewmiprolog